შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ეკა ბუთხუზი

წევრები:

მზია ბაკურიძე

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

საიდენტიფიკაციო კოდი: 406056173

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ **გეგმიური**
- ☐ **არაგეგმიური**
- ☐ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

თავმჯდომარე: ეკა ბუთხუზი
წევრი: მზია ბაკურიძე

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 18 ივნისის N690871 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 9 ივლისს ქალაქ საჩხერის ლოკაციაზე (მის: ქ. საჩხერე, ივანე გომართელის N50ა/52).

ვიზიტამდე ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯერა თავისი პოზიციები და შეიმუშავა დღის წესრიგი (დანართი 1).

ვიზიტის დღეს ავტორიზაციის სრულყოფილად შეფასების მიზნით გამოთხოვილი და შესწავლილ იქნა დამატებითი მტკიცებულებები. ექსპერტებმა დაათვალიერეს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსების შეფასების მიზნით შესწავლილი იქნა მასწავლებელთა პირადი საქმეები, ჩატარდა ინტერვიუ დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიის რექტორთან, სასწავლო პროცესის ხელმძღვანელთან, ხარისხის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებსა და პროფესიულ სტუდენტებთან. ექსპერტთა მიერ დათვალიერებულ იქნა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები.

ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა გასცა უკუკავშირი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შეფასების შედეგებთან მიმართებაში. ადმინისტრაციული წარმოების პროცესი იყო თანამშრომლობითი. წარმოების ფარგლებში ხარვეზი არ გამოვლენილა.

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუს შეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუს შეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
ფარმაცია (სააფთიაქო)	60	60	0	0

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

თავმჯდომარე: ეკა ბუთხუზი
წევრი: მზია ბაკურიძე

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
ფარმაცია (სააფთიაქო)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ წარმოდგენილი კორესპონდენციით (2025 წლის 22 ივლისის წერილი N00013468) დგინდება, რომ დაწესებულება სრულად ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

თავმჯდომარე: ეკა ბუთხუზი
წევრი: მზია ბაკურიძე

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	V
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. საჩხერე ივანე გომართელის N50ა/52
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	კოოპერაციული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე დამატებით მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	60 - კოოპერაციული
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	60 - კოოპერაციული
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	120 - კოოპერაციული
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	

თავმჯდომარე: ეკა ბუთხუზი
წევრი: მზია ბაკურიძე

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

თავმჯდომარე: ეკა ბუთხუზი
წევრი: მზია ბაკურიძე

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ:

2023 წელს ქ. საჩხერეში, ივანე გომართელის N50ა/52-ში, ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიამ ააშენა საგანმანათლებლო ჰაბი. შენობა აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით, ტექნიკითა და პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ყველა რესურსით. დაწესებულების მიერ ჩატარებული მოკვლევის შედეგად რეგიონში ამ ეტაპისთვის მოქმედებს 231 კერძო (არაბრენდული) და ქსელური აფთიაქი. შესაბამისად, ფარმაცევტულ პროფესიებზე სტაბილურად მაღალი მოთხოვნა ფიქსირდება. კოლეჯი საგანმანათლებლო პროგრამას ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ 2024 წლიდან ახორციელებს. პროგრამის ფარგლებში საშემოდგომო მიღებაზე დარეგისტრირდა მოქმედ კვოტაზე მეტი მსურველი (85). პროფესიაზე მაღალი მოთხოვნა ხელს შეუწყობს რეგიონში მოსახლეობისათვის განათლების მიღებას და გაზრდის დასაქმების შესაძლებლობას. დაწესებულებას პროგრამის განსახორციელებლად აქვს საგანგებოდ მოწყობილი და სრულად აღჭურვილი სასწავლო სივრცეები, სასწავლო ლაბორატორიები, იმიტირებული აფთიაქის მოდელი, რომლებიც შეესაბამება თანამედროვე დარგობრივ სტანდარტებს. გარდა ამისა, კოლეჯი სტუდენტებს სთავაზობს საკუთარ საერთო საცხოვრებელს, რაც ხელს შეუწყობს სხვადასხვა რეგიონიდან/სოფლებიდან პროგრამაზე მსურველთა რაოდენობის გაზრდას.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზიტის დროს გადამოწმდა დაწესებულების მატერიალური რესურსი პროგრამისათვის ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“. აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას გამოყოფილი აქვს შემდეგი სასწავლო გარემო:

ქიმიურ-ბიოლოგიური ლაბორატორია (A/C 1):

- გათვლილია ერთდროულად 30 სტუდენტზე;
- აღჭურვილია გამწოვი სისტემებით, კონდიციონერით, უსაფრთხოების მოწყობილობებითა და ლაბორატორიული ინვენტარით;
- უზრუნველყოფილია უსაფრთხო სამუშაო გარემო მავნე და ორთქლოვანი ნივთიერებებთან მუშაობისას.

ფარმაცევტული ლაბორატორია (C 2) – სიმულაციური აფთიაქი:

- უზრუნველყოფს პროფესიული კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას;
- ტექნიკურად სრულად აღჭურვილია – სამაგიდო სამუშაო ადგილები, პლაკატები, დემონსტრირების საშუალებები.

ინფორმაციული წიგნიერების სწავლების აუდიტორია (B გარემო):

- გამოყენებული მოდულის დატვირთვა არ აღემატება სასწავლო გარემოს ტევადობის 5%-ს.
- ლაბორატორიებში შესაძლებელია ერთდროულად 60 სტუდენტის სწავლება სწორად დაგეგმილი ცვლითი გრაფიკით. ყველა სივრცე აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, დაფებით, პრინტერებით, სასწავლო მასალებითა და დამხმარე მოწყობილობებით.

ლაბორატორიები აღჭურვილია:

- გამწოვი სისტემებითა და სპეციალური სამუშაო მაგიდებით;
- სასწორებით, გრადუირებული ცილინდრებით, ქიმიური ჭურჭლით, რეფრაქტომეტრით და სხვა საჭირო ინვენტარით;
- კონდენციონერით, მაშრობი კარადით და სხვა ტექნიკური საშუალებებით;
- ყველა სივრცეში უზრუნველყოფილია უსაფრთხოების ნიშნები და პირველადი დახმარების ინსტრუქცია.

თავმჯდომარე: ეკა ბუთხუზი
წევრი: მზია ბაკურიძე

ყველა სასწავლო სივრცეში მოწყობილია **-** მასწავლებლის სამუშაო ადგილი (კომპიუტერი, მაგიდა, სკამი) და 30 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი, დაფა, პრინტერი, მონიტორი).

საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია სააფთიაქო) ითვალისწინებს რვა პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას. ესენია:

1. „მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება“ (2 კრედიტი)
2. „პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი“ (4 კრედიტი)
3. „მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში“ (2 კრედიტი)
4. „მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა“ (3 კრედიტი)
5. „მომხმარებლისათვის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა“ (3 კრედიტი)
6. „მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა“ (2 კრედიტი)
7. „მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის საგნების/საშუალებების შერჩევა“ (2 კრედიტი)
8. „სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“ მეხუთე სწავლის შედეგი (1 კრედიტი).

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად აკადემიას გაფორმებული აქვს მემორანდუმი წამყვან სააფთიაქო ქსელთან შპს „პსპ ფარმა“ – მემორანდუმი მოქმედია 2024 წლის 10 მაისიდან 2030 წლის 1 იანვრამდე. პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნებისთვის პრაქტიკის კომპონენტის განსახორციელებლად დაწესებულებას დამატებით გაფორმებული აქვს შეთანხმება ამავე კომპანიასთან (PSP ფარმასთან). შეთანხმების მიხედვით პრაქტიკის განხორციელება ხდება ქ. საჩხერის N152 აფთიაქსა (ერთდროულად 4 პროფესიული სტუდენტი) და N317 აფთიაქში (ერთდროულად 4 პროფესიული სტუდენტი); ქ. ჭიათურა - აფთიაქი N65 (ერთდროულად 5 პროფესიული სტუდენტი და აფთიაქი N198 (ერთდროულად 4 პროფესიული სტუდენტი). შესაძლებელია ოთხივე აფთიაქში ერთდროულად კვირაში ხუთი დღე (დღეში 4 საათით) 120 პროფესიული სტუდენტის მიღება და განაწილება. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომელმაც დაადასტურა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტუდენტების რაოდენობის გამტარუნარიანობა და შეუფერხებელი სწავლება. აღნიშნული აფთიაქები სრულად უზრუნველყოფენ სასწავლო გარემოსა და პრაქტიკული კომპონენტების წარმატებულ განხორციელებას. ექსპერტების მიერ განხორციელებული ვიზუალური დათვალიერებითა და გასაუბრებებით დადასტურდა, რომ პრაქტიკის ბაზები და თანამშრომლობის მემორანდუმები რეალურად არსებობს და სრულად ფუნქციონირებს. მემორანდუმით გათვალისწინებული რაოდენობა სრულად შეესაბამება დაწესებულების შერჩეულ კონტიგენტს და პრაქტიკული ნაწილის უზრუნველყოფის შესაძლებლობას. მოქმედ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა პრაქტიკული კომპონენტის ხარისხიანად განხორციელების პრაქტიკა.

ექსპერტთა ვიზიტისას დადასტურდა:

- სასწავლო გარემოს შესაბამისობა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტებთან;
- ტექნიკური აღჭურვილობისა და მატერიალური ბაზის ადეკვატურობა;
- ზღვრული ოდენობა (120 სტუდენტი) განსაზღვრულია აკადემიის მეთოდოლოგიის შესაბამისად;
- რესურსები უზრუნველყოფენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულად მიღწევას.

თავმჯდომარე: ეკა ბუთხუზი
წევრი: მზია ბაკურიძე

აქედან გამომდინარე,
შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია“ სრულად აკმაყოფილებს „ფარმაცია (სააფთიაქო)“ მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ მატერიალურ, ინფრასტრუქტურულ და პარტნიორულ მოთხოვნებს. არსებული ინფრასტრუქტურა და თანამშრომლობის ბაზა იძლევა გარანტიას, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლების შედეგების მიღწევა იქნება სრულად უზრუნველყოფილი პროფესიულ სტუდენტთა დასაშვები რაოდენობის გათვალისწინებით. ყოველივეს გათვალისწინებით სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის **„ფარმაცია (სააფთიაქო)“** განისაზღვროს 120 პროფესიული სტუდენტით ორ ცვლაში (დილის ცვლა ორი ჯგუფი, შუადღის ცვლა ორი ჯგუფი).
2.2.1.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.2.1.2 პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„ფარმაცია (სააფთიაქო)“**, განხორციელების მიზნით, კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. თითოეულ დარგობრივ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი პირი და მეტი, სასწავლო გეგმისა და გაფორმებული წინარე ხელშეკრულებების ანალიზის შესაბამისად, მისაღები ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ იქნება კვირაში 40 საათზე მეტი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 31 პროფესიული განათლების მასწვლებელი, აქედან 12 განახორციელებს ზოგად მოდულებს, ხოლო 19 - პროფესიულ მოდულებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“. წარმოდგენილი მასალებითა და გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებას რიგ მოდულებზე ჰყავს არანაკლებ ორი განმახორციელებელი პერსონალი.
ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა განმახორციელებელი მასწავლებლების პირადი საქმეები, კვალიფიკაცია, შრომითი დატვირთვა და ჩართულობა აკადემიის სხვა პროგრამებში. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ ყველა მასწავლებელს აქვს შესაბამისი განათლება და სამუშაო გამოცდილება, გააჩნიათ პროგრამის მიზნებისთვის საჭირო პროფესიული და პედაგოგიური კომპეტენციები, მათი კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი დიპლომებით, სერტიფიკატებით და პრაქტიკული გამოცდილებით.
ექსპერტებმა შეისწავლეს მასწავლებელთა დატვირთვის ბადე არა მხოლოდ „ფარმაცია (სააფთიაქო)“, არამედ პარალელურად მიმდინარე სხვა პროგრამებზე (მაგ. „საექთნო განათლება“). დადასტურდა, რომ ერთი და იგივე პროფესიული მასწავლებლები დატვირთულნი არიან რამდენიმე პროგრამაზე ისე, რომ ეს არ არღვევს კანონს და არ ზღუდავს პროგრამის ეფექტიან განხორციელებას.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსი სრულად აკმაყოფილებს კანონითა და სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მასწავლებელთა რაოდენობა, მათი დატვირთვა და კვალიფიკაცია უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობასა და პროფესიული სტუდენტების სასწავლო შედეგების მიღწევას, გაზრდილი კვოტის ფარგლებში, 120 პროფესიული სტუდენტისათვის.
2.2.1.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.

თავმჯდომარე: ეკა ბუთხუზი
წევრი: მზია ბაკურიძე

2.2.1.3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, კერძოდ: ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„ფარმაცია (სააფთიაქო)“** პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის, სწავლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას. უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. ვიზიტის ფარგლებში, ექპერტები გაესაუბრნენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, და დადგინდა, რომ ისინი მონაწილეობდნენ მოდულების შექმნაში, გავლილი აქვთ სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი დარგობრივი და პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების გამომუშავების შესაბამისი კომპეტენცია.

2.2.1.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.2.1.4 საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, კერძოდ: დაწესებულების რეგულაციებით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის **„ფარმაცია (სააფთიაქო)“** ხელმძღვანელების პირადი საქმეების შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელები არიან დარგის მოქმედი კვალიფიციური სპეციალისტიები; ამავდროულად ისინი არიან პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირები. მონაწილეობა აქვთ მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევაში, მატერიალური რესურსების მობილიზებასა და პარტნიორი ორგანიზაციების მოძიებაში.

ექსპერტებმა შეისწავლეს პროგრამის ხელმძღვანელების პირადი საქმეები, კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება, რის საფუძველზეც დადასტურდა მათი შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობებთან.

ისინი არიან მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტები შესაბამის დარგში და ფლობენ აქტიურ პროფესიულ გამოცდილებას;

- მათთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, სადაც დეტალურად არის გაწერილი ფუნქცია-მოვალეობები;
- კვირაში საათობრივი დატვირთვა არ აღემატება კანონით განსაზღვრულ 40-საათიან ზღვარს (დამტკიცებულია შესაბამისი ცხრილებითა და დოკუმენტაციით);
- ხელმძღვანელები აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის დაგეგმვაში, მასწავლებელთა შერჩევასა და შეფასებაში, ასევე პრაქტიკული კომპონენტის ორგანიზებასა და მართვაში;
- გააზრებული აქვთ ხელმძღვანელის როლი პროგრამის განვითარებისა და მონიტორინგის პროცესში.

დარგის ექსპერტის მიერ პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრებისას, განსაკუთრებით გამოიკვეთა მათი აქტიური მონაწილეობა პროგრამის შექმნასა და განვითარებაში. ისინი უშუალოდ არიან ჩართულნი პრაქტიკული კომპონენტის დაგეგმვასა და განხორციელებაში. ინტერვიუებისას გაირკვა, რომ ხელმძღვანელებმა მკაფიოდ იციან და აცნობიერებენ საკუთარ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს.

აქედან გამომდინარე,

ექსპერტები ადასტურებენ, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს აკადემიის მიერ შერჩეული და დარგობრივად კომპეტენტური ხელმძღვანელები. ისინი აკმაყოფილებენ დადგენილ კრიტერიუმებს, ფლობენ შესაბამის კვალიფიკაციასა და უნარებს და სრულად უზრუნველყოფენ პროგრამის ეფექტიან და ხარისხიან მართვას.

2.2.1.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.

თავმჯდომარე: ეკა ბუთხუზი
წევრი: მზია ბაკურიძე

2.2.1.5 საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, კერძოდ: აკადემია უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში **,,ფარმაცია (სააფთიაქო)"** მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ,,ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი", რომლითაც განსაზღვრულია ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. დაწესებულება პროფესიულ სტუდენტებს სწავლის დაწყების დროს აცნობს თუ როგორ შეუძლიათ ისარგებლონ საბიბლიოთეკო რესურსებით. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური/ელექტრონული სახით, განთავსებულია აკადემიის ვებ - გვერდზე ელექტრონული ბიბლიოთეკის კატალოგში გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში არის სამუშაო სივრცე კომპიუტერი, რომელშიც ჩატვირთულია პროგრამის სასწავლო რესურსი. კოლეჯს შეძენილი აქვს ლიცენზირებული საკანონმდებლო მაცნეს მომსახურება. კოლეჯი ასევე იყენებს ofen biblio-ს. ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა აკადემიის საბიბლიოთეკო სივრცე (სამკითხველოთი) სადაც კომპიუტერებში ჩატვირთულია საგანმანათლებლო პროგრამაში / მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი ამობეჭდვა/ დასკანერება. ექსპერტთა მიერ, მოდულებში მითითებული ლიტერატურიდან შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები (თითქმის ყველა პროფესიული მოდულის სასწავლო რესურსი), რომლებიც მატერიალური სახით ინახება ბიბლიოთეკაში. ელექტრონული რესურსი გადატანილია ელექტრონულ მატარებლებზე.

დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული სახელმძღვანელოები ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერში და ასევე ჩაწერილია CD დისკებზე.

ბიბლიოთეკის რესურსები ორგანიზებულია ისე, რომ სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ შეუფერხებელი წვდომა სასწავლო მასალებზე.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ აკადემიის სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ ხელმისაწვდომი, თანამედროვე და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები.

2.2.1.5 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.2.1.6 სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, კერძოდ: დაწესებულებას აქვს მზაობა უზრუნველყოს სსსმ პირებისათვის ინიდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურება, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით (ცვლილება რექტორის ბრძანება №2/82 (10.06.2025) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში" გაწერილია მუხლი 32. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია და მუხლი. 51. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვის წესი - სსსმ პირების საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სასწავლო რესურსებისა და გარემოს ადაპტირების საკითხები. აკადემიას აქვს მზაობა მათ მისაღებად, სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; მათთვის სასწავლო პროცესი წარიმართება მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. რეგულაციის თანახმად: იმ

შემთხვევაში, თუ პროფესიულ პროგრამაზე ჩაირიცხება სსსმ პირი, აკადემია იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ის ადაპტირებული სასწავლო/საგანმანათლებლო რესურსით საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.
აკადემიის მიერ შეთავაზებული მხარდაჭერის ღონისძიებები მოიცავს:

- სპეციალისტის ჩართულობას, რათა მოხდეს თითოეული სტუდენტის საჭიროების დეტალური შეფასება და მათი სასწავლო პროცესში ეფექტური ინტეგრაცია;
- სპეციალურად ადაპტირებული სასწავლო რესურსების უზრუნველყოფას, რომელიც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში ელექტრონულ და ბეჭდურ მასალებს, ადაპტირებულ შრიფტსა და ფორმატს, ვიზუალური აღქმის გამარტივებულ საშუალებებს;
- აკადემიის ინფრასტრუქტურისა და სივრცის მორგებას, რათა უზრუნველყოს სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება და სრულფასოვანი ჩართულობა სასწავლო პროცესში;
- სასწავლო პროცესში ინდივიდუალური მხარდაჭერის გაწევას, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მენტორული დახმარების ორგანიზებას;
- ინდივიდუალური გეგმის შემუშავების რეგულაცია გაწერილია კოლეჯის რექტორის მიერ დამტკიცებულ "სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში";
- ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, რაც მოიცავს პროცედურების გამარტივებას და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას;
- სხვა დამატებით ღონისძიებებს, რომლებიც განისაზღვრება ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასწავლო რესურსების ადაპტაციას, რათა უზრუნველყოს სტუდენტებისთვის ინფორმაცია ხელმისაწვდომ ფორმატში. აკადემიის ბიბლიოთეკა ვალდებულია უზრუნველყოს საგანმანათლებლო რესურსების ელექტრონული ვერსიების შექმნა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს მიეწოდება მისთვის მოსახერხებელ ფორმატში; ბეჭდური რესურსების ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით ადაპტირება, მათ შორის შრიფტის ზომის და სტილის ოპტიმიზაცია; საგანმანათლებლო რესურსების შინაარსობრივი ადაპტირება, რაც მოიცავს ტექსტების გამარტივებას, ვიზუალური აღქმის ხელშეწყობასა და სხვა შესაბამის ცვლილებებს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობით. გარდა ამისა, შეზღუდული შესაძლებლობის ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სასწავლო პროგრამაში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით, აღნიშნული პირები შესაძლოა დაიშვან მოდულებზე მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე, იმ პირობით, რომ მათი სასწავლო წარმატების უზრუნველყოფისთვის გათვალისწინებული იქნება შესაბამისი დამატებითი ღონისძიებები.
ამ მიდგომის გათვალისწინებით, აკადემია უზრუნველყოფს ინკლუზიურ და ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც ყველა სტუდენტს საშუალებას აძლევს სრულფასოვნად განავითაროს თავისი უნარები და მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება.
გამომდინარე იქიდან, რომ აკადემიის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" 32-ე მუხლში გაწერილია ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია და 51-ე მუხლში კი - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვის წესი, კოლეჯი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ის ადაპტირებული სასწავლო/საგანმანათლებლო რესურსით საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. ამ ეტაპზე პროგრამაზე სსსმ პირები არ ირიცხებიან.

2.2.1.6 სტანდარტი შესაბამისობაშია.

თავმჯდომარე: ეკა ბუთხუზი
წევრი: მზია ბაკურიძე

2.2.1.7 პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, კერძოდ: აკადემიის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. „ფარმაცია (სააფთიაქო)ს“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. ბიუჯეტის შემოსავლები დაანგარიშებულია ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის მიხედვით. ხარჯის ჯამური ოდენობა არ აღემატება აკადემიის მიერ განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარის მიხედვით დაგეგმილ შემოსავლებს.

ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას (რენტაბელობის ზღვარი 20 სტუდენტი). აღნიშნულ რაოდენობაზე დაყრდნობით, საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს ყველა საჭირო ფინანსურ რესურსს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ეფექტური ფუნქციონირება.

ბიუჯეტი ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- პროფესიული განათლების მასწავლებლების ანაზღაურება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირება;
- პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის და მასალა-ნედლეულის ხარჯი;
- პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერისა და არაფორმალური აქტივობების ხარჯი;
- პერსონალის განვითარების/წახალისების ხარჯი;
- სსსმ და შშმ პირებზე გაწეული ხარჯი;
- დიპლომის ხარჯი და სხვ.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს აკადემიის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებას და საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტ განვითარებას.

2.2.1.7 სტანდარტი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ (დამტკიცებულია შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2024 წლის 21 ივნისის N2/82 ბრძანებით);
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის მიერ 2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით, ბოლო ცვლილება რექტორის ბრძანება №2/82 (10.06.2025);
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; (დამტკიცებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 28.07.2020 წლის N2/60 ბრძანებით ცვლილებები შესულია 2022 წლის 18 იანვრის რექტორის N2/5 ბრძანებით);
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია;

თავმჯდომარე: ეკა ბუთხუზი
წევრი: მზია ბაკურიძე

- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის წინარე ხელშეკრულებები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- პროფესიული მასწავლებლების დატვირთვის სქემა;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ადმინისტრაცისთან, სტუდენტებთან, განმახორციელებელ პირებთან და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

28.07.2025

თარიღი

თავმჯდომარე: ეკა ბუთხუზი
წევრი: მზია ბაკურიძე